დანართი №4

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი**

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 13-14 მარტი, 2024

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 30 აპრილი, 2024

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზაზა ცოტნიაშვილი, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ირინე ფხაკაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ციცინო თურქაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

დავით ტეფნაძე, სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

2024 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	450
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: 452 შეჩერებული: 411
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 414 შეჩერებული: 410
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: 35 მათ შორის აფილირებული: 29 მოწვეული: 200 სამეცნიერო: 3
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	20
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	24.06.2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	689586 , 2021 წლის 24 ივნისი
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	6/24/2027
სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	1025

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 5 მარტის MES 7 24 0000271105 ბრძანების თანახმად, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში ვიზიტის განხორციელება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შემოწმება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდება 2024 წლის 13-14 მარტს. ვიზიტი წარიმართა პირისპირ ფორმატში, ჰიბრიდული სესიებით საჭიროებიდან გამომდინარე, დაწესებულებამ გასაუბრებაზე რამედნიმე თანამშრომელი ონლაინ რეჟიმში წარმოადგინა. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიურ, საქმიან და მშვიდ გარემოში. დოკუმენტაციის გაცნობის და ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გარემოებების შემოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა შეუფერხებლად, დათქმულ ვადაში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა ერთი რეკომენდაცია. ინსტიტუციას მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს მატერიალური რესურსების გაუმჯობესების თვალსაზრისით. უნივერსიტეტი ცდილობს შერჩევისას კვალიფიციური კადრებისათვის უპირატესობის მინიჭებას.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

მისასალმებელია, რომ პირველ სტრატეგიულ მიმართულებას ასევე დაემატა ამოცანა „შრომის ბაზრის კვლევა“, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი მიმართულია კონსორციუმის ფორმატით ითანამშრომლოს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფონდი კურაციოსთან ერთად საგრანტო დაფინანსებით განახორციელოს პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ კომპანიებში დასაქმებული პერსონალის სამუშაო საჭიროებათა კვლევა და შესაბამის საჭიროებებზე (gap) რეაგირების მოკლევადიანი და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება.
უნივერსიტეტმა გააფართოვა რეგიონალური პარტნიორობა სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ დაწესებულებებთან.
სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული, სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა საგამოცდო პროცედურების მოდიფიცირებასა და საკონტაქტო საათების შემცირებასთან დაკავშირებული რჩევები.
პროგრამები ასევე შეფასებულ იქნა პარტნიორი სტამბულის ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის გუნდის მიერ, შედეგად განხორციელდა რიგი ცვლილებები. ამასთანავე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა მედიცინის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სამწლიანი ანგარიში.

უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური მექანიზმები, ხდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და თვითშეფასება, ვლინდება გასაუმჯობესებელი მხარეები და საჭიროებები, პერსონალის გადასამზადებლად ტარდება ტრენინგები, ინტერვიურების პროცესში პერსონალმა დაადასტურა ბოლო წლების განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსებით ან/და ორგანიზებით პერსონალის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში. პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს წახალისების და სტიმულირების სხვადასხვა ფორმებს.
უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს ჩაერთონ საერთაშორისო მობილობაში და პროექტებში. ამ მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას შესაბამისი გაცვილითი პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაცვლით პროგრამების შეთავაზების მიზნით ბაუ-მ ევროპის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობეს ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში.
უსდ არის სასწავლო უნივერსიტეტი, არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს. თუმცა, მედიცინის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამებზე მზადდება კვლევითი ნაშრომები, რომლებსაც ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პერსონალი. ადგილზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ნაშრომებს, რომლებიც მაღალი ხარისხისაა. უსდ-ში არის ამ ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
ახალი თანამედროვე სასწავლო შენობის ექსპლუატაციაში შესვლამ უზრუნველყო სასწავლო შესაძლებლობების გაორმაგება.
2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტით ორჯერ გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო ფონდი.

რეკომენდაციების შეჯამება[1]

- რეკომენდირებულია კლინიკურ ბაზებზე პრაქტიკის ხელმძღვანელების რაოდენობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაზუსტება სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურების უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდირებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში დაემატოს „სტუდენტთა სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის“ თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრის ინდიკატორები.

რჩევების შეჯამება

- კლინიკური სესიების მიმდინარეობა 25-30 სტუდენტის ნაცვლად შედარებით მცირე რაოდენობის ჯგუფებში.
- მიზანშეწონილია მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებზე პირველ სასწავლო წელს იდენტური 60 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების პერმანენტული შეფასება ორივე პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებაში და მუდმივი მონიტორინგის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შესაძლო ცვლილებების დაგეგმვა.

[1] საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

- სასურველია ღამის მორიგეობაზე სტუდენტის ობიექტურად შესაფასებლად დეტალურად გაიწეროს კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს ვალიდური და სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო პროცესში შესაბამისობაში იყოს სტუდენტის დატვირთვის წესთან.
- სასურველია მეცნიერი თანამშრომლების მოზიდვა, რომლებიც მხოლოდ კვლევებით იქნებიან დაკავებულნი, რაც უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის.
- სასურველია უნივერსიტეტმა კონკრეტული კვლევითი პროექტები მეტი ინტენსივობით განახორციელოს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

- *საუკეთესო პრაქტიკა 1*

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილი** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*☒ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილზე ნაკლები** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **არსებული და არა მოთხოვნილი**[2] ზღვრული რაოდენობის მისაღებად.*

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის და ადგილზე ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებით

1. ბაუ-ს კალკულაცია შესრულებულია წელიწადში 36 კვირიან (18 კვირა სემესტრში) საკონტაქტო აქტივობების კვირაზე, თუმცა ამჟამად, 2023-2024 სასწავლო წელს, უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარი გათვლილია 16 კვირაზე სემესტრში.
2. რეკომენდირებულია კლინიკურ ბაზებზე პრაქტიკის ხელმძღვანელების რაოდენობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაზუსტება სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურების უზრუნველსაყოფად.
3. ბაუს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით უნივერსიტეტში სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 2022-2023 საანგარიშო წელს დაემეტა 17 პერსონალი მათ შორის 1 ტუტორი და 3 სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი, რაც უსდ-ს შეფასებით საკმარისია სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მომსახურებისთვის მაგრამ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მოქმედ რეგულაციაში „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კალკულაცია 2023“ არ არის გაწერილი ადმინისტარციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა სტუდენტებთან მიმართებაში, რის გამოც, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს რამდენად მოხდება

[2] იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში ყველა სერვისის მიწოდება „სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის“ მიერ.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია
1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი“-ის მისია განსაზღვრავს უსდ-ის მახასიათებლებს მისი სახისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების (პროფილი) შესაბამისად - „ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებას ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა მომზადებით“. მისიის მიხედვით, უნივერსიტეტის გამოწვევაა „შექმნას გლობალურად გამოყენებადი უნარების, სამეცნიერო ხედვის, მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და ლიბერალური ფასეულობების მქონე პროფესიონალებად ჩამოყალიბების საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პლატფორმა“. უნივერსიტეტი ახორციელებს ჯანდაცვის მიმართულების ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდას ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებზე, რაც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 24 ქვეყნიდან, რომლებსც ემსახურება 7 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი.

„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი“-ის მისია ითვალისწინებს უმაღლესი განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში. მისიით განსაზღვრულ საქმიანობას ესადაგება „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი“-ის მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027, რომელშიც წარმოდგენილია 3 ძირითადი სტრატეგიული მიმართულება:

- სწავლებისა და კვლევის განვითარება;
- ორგანიზაციული განვითარება;
- ინფრასტრუქტურული განვითარება.

უნივერსიტეტი სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის იყენებს სამოქმედო გეგმების შედგენის პრაქტიკას. უნივერსიტეტს აქვს სამწლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები (სტრატეგიული მიმართულება/სტრატეგიული მიზანი/სტრატეგიული ამოცანა/ქვეამოცანები), განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები (ინდიკატორები - რაოდენობრივი და ხარისხობრივი) და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შემუშავებული აქვთ და მოქმედებენ წლიური სამოქმედო გეგმებით, რომელიც თანხვედრაშია სტრატეგიულ გეგმასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიურების შედეგი მოწმობენ, რომ უნივერსიტეტს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისათვის შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები და პროცედურები, რომლებსაც იყენებს პრაქტიკაში. სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფი ყოველწლიურად აფასებს სტრატეგიული გეგმის ამოცანების შესრულებასა და ძირითადი სამიზნე ნიშნულების მაჩვენებლებს.

2022 წელს პირველ სტრატეგიულ მიმართულებას - სწავლებისა და კვლევის განვითარება - დაემატა ამოცანა „კლინიკური ბაზების გაფართოება“ რომლის ფარგლებშიც 2022 წელს უნივერსიტეტმა გააფართოვა რეგიონალური პარტნიორობა სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ დაწესებულებებთან, სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს 2022 წელს დადებული 10 ხელშეკრულება.

მისასალმებელია, რომ პირველ სტრატეგიულ მიმართულებას ასევე დაემატა ამოცანა „შრომის ბაზრის კვლევა“, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი მიმართულია კონსორციუმის ფორმატით ითანამშრომლოს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფონდი კურაციოსთან ერთად საგრანტო დაფინანსებით განახორციელოს პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ კომპანიებში დასაქმებული პერსონალის სამუშაო საჭიროებათა კვლევა და შესაბამის საჭიროებებზე (gap) რეაგირების მოკლევადიანი და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება.

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადით, ასევე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კალკულაცია-2023-ის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს მედიცინის პროგრამის სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა იყოს 900 სტუდენტი (საშუალოდ 150 სტუდენტი კურსზე) და 125 სტუდენტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე (საშუალოდ 25 სტუდენტი კურსზე), რაც ჯამურად შეადგენს 1025 სტუდენტს.

2022-2023 წლებში მეორე სტრატეგიულ მიმართულებას - ორგანიზაციული განვითარება - დაემატა ამოცანა კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულების მოდიფიცირება, „რომელიც ითვალისწინებს მედიცინის დარგობრივ მახასიათებლის განახლებულ მოთხოვნებზე მორგებას, მათი ძალაში შესვლამდე (2024 წელს)“ (უნივერსიტეტის თვითშეფასების სტილი დაცულია).

მეორე სტრატეგიული მიმართულებაში ასევე წარმოდგენილია ამოცანა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწის შესახებ, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი ეტაპობრიად აუმჯობესებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას და ითვალისწინებს მეტი სერვისის ელექტრონულ ფორტმატში გადატანას.

მოცემული შემთხვევისათვის, როცა დაწესებულება სტუდენტების რაოდენობას 450-დან 1025-მდე ზრდის, სტრატეგიული რისკების გათვლა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს. ვიზიტის მიმდინარეობისას, გამოთხოვილი დოკუმენტების რანგში, დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული რისკების ანალიზის მატრიცა, სადაც წარმოდგენილია სტრატეგიული ამოცანების შესაბამისი რისკების შეფასება, დაზღვევა და სამოქმედო სცენარები. ამ მხრივ, გაზრდილი სტუდენტთა კონტინგენტის პირობებში, საკვანძო საკითხებად წარმოჩნდება სტრატეგიით განსაზღვრული შემდები ამოცანები:

ამოცანა: **კლინიკური ბაზების გაფართოება.**

<u>იდენტიფიცირებული რისკები:</u> მომსახურების საფასურის ცვლილება, შეთანხმების მიუღწევლობა, არასაკმარისი მიწოდება საჭირო მიმართულებებით, კლინიკური საქმიანობის უფლების შეჩერება, მიღებული მომსახურების ხარისხის ცვლილების გავლენა რეპუტაციაზე.

<u>რისკების დაზღვევის აქტივობები:</u> საფასურის განსაზღვრა საბაზრო კონტექსტის შესაბამისად; ალტერნატივების მოძიება; ხელშეკრულებაში მომწოდებლის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

ამოცანა: **საერთაშორისო პერსონალის მოზიდვა.**

<u>იდენტიფიცირებული რისკები:</u> ბიუჯეტის გარღვევა, ორგანიზაციული სირთულეები, დაბალი ინტერესი, აღიარების მიღება, ხარისხის გავლენა რეპუტაციაზე.

<u>რისკების დაზღვევის აქტივობები:</u> ხარჯების ოპტიმიზაცია, კროს დეპარტამენტული კონტროლი პოტენციურ კანდიდატებთან კომუნიკაციაზე, ალტერნატივების მოძიება, აღიარების მიღების პროცესში დახმარება, მაღალი ხარისხის კანდიდატების შერჩევა.

ამოცანა: **კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულებების მოდიფიცირება.**

<u>იდენტიფიცირებული რისკები:</u> გაზრდილი საფასური, კლინიკის მხრიდან დაბალი ინტერესი, კონკურენცია აფილირებული კლინიკის სტატუსისთვის, კლინიკური საქმიანობის უფლების შეჩერება კონტრაქტორისთვის, მომსახურების ხარისხის გავლენა რეპუტაციაზე.

<u>რისკების დაზღვევის აქტივობები:</u> ალტერნატივების მოძიება, უნივერსიტეტთან პარტნიორობის უპირატესობების კომუნიკაცია, უნივერსიტეტთან პარტნიორობის უპირატესობების კომუნიკაცია, მომსახურების ხარისხის კონტროლი.

უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში მესამე სტრატეგიული მიმართულების - ინფრასტრუქტურული განვითარების - აღწერაში მოცემულია, რომ „უნივერსიტეტი მიზნად ისახავს სრულად დააკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები, რაც თავის მხრივ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობებისა და კამპუსის შემდგომი განვითარების საჭიროებას წარმოშობს. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების განვითარება, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარების საშუალებას მისცემს“.

2023 წლის I კვარტალში.უნივერსიტეტმა დაასრულა II კამპუსის მშენებლობა, რომელიც დაიწყო 2022 წლის ბოლოს. ახალი კამპუსის საერთო ფართი შეადგენს 1840კვ.მ. აღნიშნული ფართი სრულად განკუთვნილია სასწავლო პროცესისთვის. ამასთან, მოცემულ ეტაპზე, სასწავლო უნივერსიტეტის კამპუსებში განთავსებულია 7 სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია. სტრატეგიულ გეგმაში ასახული ამოცანების მიხედვით, უნივერსიტეტმა ასევე მოახდინა უნივერსიტეტის მიმდებარე სარეკრეაციო სივრცეების მოპირკეთება, რომელიც მოიცავდა გამწვანებით სამუშაოებს და ასევე დასრულდა სპორტული მოედნის მშენებლობა.

უნივერსიტეტი სტრატეგიული დაგეგმვისას და მონიტორინგის პროცესში იყენებს სამიზნე ნიშნულებს. წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუირების შედეგები მოწმობენ, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის პარალელურად უნივერსიტეტს გააზრებული აქვს სამიზნე ნიშნულების მიღწევისა და შენარჩუნების მნიშვნელობა, მათ შორის ინფრასტრუქტურასთან და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი“-ის განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ-2023
- „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი“-ის მისია
- „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი“-ის სტრატეგია (2021-2027) (2023)
- „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი“-ის სტრატეგია (2021-2027) (2024)
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები - ბაუ-2023
- სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში 2022 წლის სამიზნე ნიშნულების შესრულების თაობაზე
- სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში 2021 წლის სამიზნე ნიშნულების შესრულების თაობაზე
- სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში 2022 წლის სტრატეგიული ამოცანების შესრულების თაობაზე
- ბაუ-ს სტრატეგიული რისკების ანალიზის მატრიცა
- ბაუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027 - 2024 მარტის ცვლილებებით
- ბაუ-ს სტრატეგიულ რისკებზე რეაგირების მექანიზმები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

-

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

-

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანების უზრუნველყოფისათვის ბაუ-ს გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა; უნივერსიტეტის სტრუქტურაში არის წარმომადგენლობითი მართვის ორგანოები - აკადემიური საბჭო და სკოლის საბჭო. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელსაც მინიჭებული აქვს პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის სტატუსი და სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე. ამჟამად აკადემიურ საბჭოში 9 წევრია. აკადემიური საბჭოები განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმებს, სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებს.

უნივერსიტეტის ძირითადი აკადემიური ერთეულია მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა. სკოლა წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას მედიცინისა და სტომატოლოგიის სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. სკოლის მმართველი ორგანოებია სკოლის საბჭო და დეკანი. სკოლის საბჭო არის სკოლის მმართველი წარმომადგენლობითი კოლეგიური ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის დეკანი, სკოლის ყველა აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

სკოლის საბჭო შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას, საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს, სკოლის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებს, სკოლის მართვის საკითხებზე საკუთარი გადაწყვეტილებებს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული, სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. სტრუქტურული ერთეულები ადგენენ წლიურ სამოქმედო გეგმებს და მოქმედებენ ამ გეგმების შესაბამისად. უნივერსიტეტი პრაქტიკაში იყენებს და დანერგილი აქვს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ISO 9001:2015), რომლის ფარგლებშიც შედგენილია მართვის ძირითადი და დამხმარე პროცესების რუკები.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური მოქმედებს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის, კორპორატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობის, თანამშრომელთა შეფასებისა და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ვალდებულებებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარების ეფექტური მექანიზმების შემუშავებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულებებით.

ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ითვალისწინებენ დაწესებულების სამიზნე ნიშნულებს პერსონალის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის 2022-2023 სასწავლო წლის ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ნაწილში ბაუს დაემატა 17 პერსონალი: 2 საგამოცდო ცენტრის სპეციალისტი, 1 ლაბორატორიის მენეჯერი, 3 ელექტრონული სასწავლო პლატფორმის სპეციალისტი, 1 დეკანის ასისტენტი, 2 სასწავლო პროცესის მენეჯერი, 1 ტუტორი, 1 მარკეტინგის სპეცილისტი, 2 საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სპეციალისტი, 3 სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი და 1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. მათ შორის სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ნაწილში ბაუს საანგარიშო პერიოდში დაემატა 10 პერსონალი 2 საგამოცდო ცენტრის სპეციალისტი, 1 ლაბორატორიის მენეჯერი, 1 მარკეტინგის სპეცილისტი და 2 სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი, 2 საერთაშორისო ურთიეთობების სპეციალისტი და 2 LMS მენეჯერი.

ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ, ვიზიტის დროისათვის, უნივერსიტეტში მუშაობს: ტუტორი - 3, სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი - 5, სულ ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა - 53 (ნაცვლად 43-ისა).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტისა და ინტერვიუირების შედეგები გვარწმუნებს რომ უნივერსიტეტი მზადაა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში შეაფასოს და დროულად მიიღოს გადაწყვეტილებები სტრუქტურული ერთეულების გაძლიერების საკითხებზე. მაგალითად, ახალი სასწავლო პროცესის მართვის (LMS) განახლებული სისტემის დანერგვასთან ერთად სტრუქტურას დაემატება ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელშიც წარმოდგენილი იქნება LMS მენეჯერი, განისაზღვრება მისი ადგილი სტრუქტურაში, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობები.

ბაუ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

ბაუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნები მოიცავს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის განვითარებას, სტუდენტების მოზიდვის არეალის გაფართოებას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობას; სამეცნიერო ფონდებთან პროექტების შემუშავების ხელშეწყობას; უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას; უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობას; საერთაშორისო სარეიტინგო სისტემებში გაწევრიანებას. წარმოდგენილი მიზნები წარმოადგენს უნივერსიტეტის ხედვას და განაცხადს, რომელიც ინკორპორირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში და მოიცავს შესაბამის აქტივობებს 2021-2027 წლებზე გათვლით. 2023 წელს წარმოდგენილი ხედვით, სტუდენტთა ზღვრული ადგილების რაოდენობის ზრდის პროცესში, 2024-2025 წლისათვის უნივერსიტეტი გეგმავს უცხოელი და საქართველოს მოქალაქე სტუდენტების მიღებას შესაბამისად 200:50 თანაფარდობით. ეს ნიშნავს, რომ უცხოელ სტუდენტებზე ორიენტირებულობით იზრდება ინტერნაციონალიზაციის პროცესის როლი და მნიშვნელობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კალკულაცია-2023“ და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუირებისა და პრეზენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტი ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისა და მოთხოვნილი 1025 ადგილის დასასაბუთებლად იყენებს შემდეგ საკვანძო პარამეტრებს: სააუდიტორიო რესურები, საგამოცდო ცენტრის რესურსები, ბიბლიოთეკის რესურსები, ადამიანური რესურსები, კლინიკური ბაზები. სასწავლო პროცესის შესაბამის ცვლად მაჩვენებლებად გვევლინება სტუდენტთა რაოდენობა (ლექციაზე-100 (მედიცინა), 30 (სტომატოლოგია)/ჯგუფში, სემინარი-30 სტ/ჯგ, PBL-10 სტ/ჯგ, ლაბორატორიული-15 სტ/ჯგ, სიმულაციური სწავლება-30 სტ/ჯგ.

ავღნიშნავთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების მიხედვით „სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას. შესაბამისად, ცხრილით გაწერილი მეცადინეობების კვირის აღსანიშნავად ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს „საკონტაქტო აქტივობების კვირა“.

ბაუ-ს კალკულაცია შესრულებულია წელიწადში 36 კვირიან (18 კვირა სემესტრში) საკონტაქტო აქტივობების კვირაზე, თუმცა ამჟამად, 2023-2024 სასწავლო წელს, უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარი გათვლილია 16 კვირაზე სემესტრში. ასეთი განრიგით სააუდიტორიო რესურსები საკმარისი იქნება 900 მედიცინისა და 125 სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებისათვის. მაგალითად,

6	x	**84**	x	**32**	x	**100**	÷	**1729**	=	**932**
აუდიტორია		სთ კვირაში		სასწავლო კვირა წელიწადში		სტუდ. რაოდენობა ლექციაზე		სალექციო სთ		სტუდენტი, ეს რიცხვი მოიცავს 900 მედიცინისა და 30 სტომატოლოგიის (I კურსის) სტუდენტს.

2	x	**84**	x	**32**	x	**30**	÷	**1341**	=	**120**
აუდიტორია		სთ კვირაში		სასწავლო კვირა წელიწადში		სტუდ. რაოდენობა ლექციაზე		სალექციო სთ		სტუდენტი (სტომატოლოგიის I კურსის გარდა)

საკონტაქტო აქტივობების სწავლების 36 კვირიანი განრიგით უნივერსიტეტეტის სააუდიტორიო, სასემინარო, ლაბორატორიული და სიმულაციური სწავლების სივრცეები საკმარისია 900 მედიცინისა (საშუალოდ 150 სტუდენტი კურსზე) და 125 სტომატოლოგიის (საშუალოდ 25 სტუდენტი კურსზე) სტუდენტისათვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ IV, V და VI კურსის სტუდენტებს სასწავლო ცხრილში გათვალისწინებული აქვთ სწავლება კლინიკურ ბაზებზე, რაც დადებითად მოქმედებს საუნივერსიტეტო სივრცეების გამოთავისუფლებაზე. რაც შეეხება კლინიკურ ბაზებს, მატერიალურ და ადამიანურ რესუსებს, მათი შესაბამისობა აღწერილია მე-4 სტანდარტში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით, სტრატეგიული გეგმითა და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით განსაზღვრულია ინტერნაციონალიზაციის როლის უწყვეტი ზრდა დაწესებულების საქმიანობაში, როგორც საგანმანათლებლო ბაზრებზე შესვლის, ასევე პარტნიორული ურთიერთობების რაოდენობისა და სპექტრის განვითარების თვალსაზრისით, უნივერსიტეტის სტრატეგიით განსაზღვრული მთელი საანგარიშო პერიოდისათვის.

ბაუ უნივერსიტეტის ფუნქციონირებისას იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებებით:

- მმართველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები;
- სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურები;
- სამეცნიერო კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და საკვანძო ჯგუფებთან ინტერვიუირების მიხედვით ჩანს, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტის ეგიდით განხორციელებული გარე შეფასებები და რეკომენდაციები. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შესრულდა ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის წლიური შეფასება, რაც წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის შესაბამისი ანგარიშის სახით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი. ამ წესით განსაზღვრული პროცესები და პროცედურები მდგრადად გამოიყენება პრაქტიკაში საგანმანათლებლო პროგრამების გარკვეულ ეტაპებზე. სტუდენტების ყველა ის დავალება, რომელიც ითვალისწინებს წერილობითი ნაშრომის (ესსე, რეფერატი, კვლევითი ნაშრომი და ა შ) მომზადებას, ნაშრომის ავთენტურობის დადასტურის, პლაგიატის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით მოწმდება პროგრამა TurnItIn-ის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- შრომის შინაგანაწესი-2021
- მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დებულება
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი
- პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ბიბლიოთეკის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წლიური ანგარიში 2022-2023 აკადემიური წლისთვის
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში 2022-2023 აკადემიური წლისთვის
- სტუდენტთა ეთიკის კოდექსი
- პერსონალის ეთიკის კოდექსი
- სამეცნიერო კვლევის ეთიკის დებულება-2020
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
-

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ახორციელებს ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან ორ საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსი და დიპლომირებული სტომატოლოგი. აღნიშნული პროგრამები შემუშავებული და დამტკიცებულია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თანახმად, პროგრამები შესაბამისობაშია კვალიფიკაციათა ჩარჩოს VII დონით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებელთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი მიაღწევს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად. საქართველოში მოქმედი რეგულაციების თანახმად, პროგრამები აკრედიტირებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მიერ. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები და პროცედურები“, „მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროექტის ინიცირების, შემუშავების და დამტკიცების პროცედურა“ (დამტკ. რექტორის 2021 წ. 10 თებერვლის №03/17 ბრძ.). პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი პროგრამის ხელმძღვანელთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ხელმძღვანელობს “საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესით”. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 ECTS კრედიტს, ხანგრძლივობა შადგენს ექვს აკადემიურ წელს (12 სემესტრი), სტომატოლოგიის პროგრამის ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელია (10 სემესტრი) და მოცულობა შეესაბამება 300 ECTS კრედიტს. 1 კრედიტი მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს და შეესაბამება 30 საათს. მედიცინის პროგრამაში 22 ECTS კრედიტზე მეტი ეთმობა ბაზისური კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებას. ხოლო 20 ECTS კრედიტზე მეტი ეთმობა სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარებას. ორივე პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია და დამყარებულია ორგანოთა სისტემების მიხედვით ნორმისა და პათოლოგიის ინტეგრაციაზე, სასწავლო კურსები დაკავშირებულია

წინაპირობების სისტემით, ამასთანავე, მედიცინისა და სტომატოლოგიის ორივე პროგრამაზე პირველი სასწავლო წელი აბსოლუტურად იდენტურია, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრების თანახმად, მომავალში მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული 60 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების პერმანენტული შეფასება ორივე პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებთან და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შესაძლო ცვლილებების დაგეგმვა.

მედიცინის პროგრამაში უზრუნველყოფილია კლინიკური უნარ-ჩვევებისა და სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების თანახმად. ამასთანავე, გამოყოფილია 22 კრედიტი უცხოელი სტუდენტისათვის ქართული ენის შესწავლის მიზნით, რაც უზრუნველყოფს პაციენტთან და სამედიცინო პერსონალთან ეფექტურ კომუნიკაციას. მხარდაჭერილია პერსონალური და პროფესიული განვითარება, სტუდენტის აქტივობები და მიღწევები გროვდება პორტფოლიოში, სადაც შესაძლებელია დინამიკაში კომპეტენციების შეფასება, სტუდენტის მიერ განსაზღვრული სავალდებულო კრედიტის დაგროვების გარდა დამატებით პორტფოლიოს ჩათვლა აუცილებელია კვალიფიკაციის მისანიჭებლად. ორივე პროგრამით სტუდენტისთვის შეთავაზებულია დარგობრივი და არადარგობრივი არჩევითი კურსები. მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგები მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად მოიცავს 13 კომპეტენციას, სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს: პროფესიონალიზმს, უსაფრთხო და ეფექტურ კლინიკურ პრაქტიკას, პაციენტზე ორიენტირებულ მოვლას, სტომატოლოგია და საზოგადოებას.

პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნები და შედეგები მიიღწევა თანმიმდევრულად აგებული სასწავლო კურსებით. პროგრამის კომპონენტები ავითარებენ პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე. საგანმანათლებლო პროგრამებში მაღალია საკონტაქტო საათების წილი, მედიცინის პროგრამაში საერთო მოცულობის 60% და სტომატოლოგიის პროგრამაში 58% ეთმობა საკონტაქტო საათებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება სხვადასხვა სასწავლო კურსებში განსხვავებულია, საკონტაქტო საათები იზრდება კლინიკურ საგნებში.

საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსით განსაზღვრული ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტი და კრიტერიუმი გაწერილია სილაბუსებში.

დანერგილია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) მეტწილად საბაზისო სასწავლო კურსებში, ლაბორატორიული მუშაობა ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის სწავლების პროცესში, სწავლება სიმულაციურ გარემოში (გვამთან მუშაობა, სიმულატორებთან და ანატომიურ მოდელებთან მუშაობა), კლინიკური საგნების შესწავლისას სწავლება სიმულაციურ გარემოში მიმდინარეობს ციფრული სიმულაციური პაციენტის (პროგრამა Body interact) გამოყენებით, გამოიყენება კლინიკურ ქეისზე დაფუძნებული სწავლების (CBL) მეთოდები, კლინიკური სასწავლო კურსების უმრავლესობა ტარდება როტაციული სისტემით რეალურ კლინიკურ გარემოში კლინიკური პრაქტიკის ფარგლებში, რასაც ხელმძღვანელობენ პრაქტიკის ხელმძღვანელები. „სწავლება კლინიკურ გარემოში“ პარალელურად კლინიკური კურსების განხორციელებისას გარკვეული საათები ეთმობა სემინარებს, სადაც სტუდენტთა ჯგუფი ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს დისკუსიებისა და დებატების ჩათვლით და სტუდენტების რაოდენობა 25-30 ფარგლებშია. სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის მიდგომების გათვალისწინებით,

რეკომენდირებულია **კლინიკურ საგნებში სწავლის შედეგების მისაღწევად დაიგეგმოს კლინიკური სესიები სტუდენტების შედარებით მცირე ჯგუფებში.** უმაღლესი სამედიცინო განათლების განახლებული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის მახასიათებლის მოთხოვნებისადმი მისადაგების გეგმა. უნივერსიტეტი განიხილავს სტომატოლოგიის პროგრამის მოდიფიცირების საკითხს უკვე შექმნილი დარგობრივი საბჭოს მიერ შემუშავებული სტომატოლოგიის დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სტუდენტის შეფასების წესი ითვალისწინებს კლინიკური/სტომატოლოგიური კურსების სპეციფიკას და სტუდენტის შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები აღწერილია სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში, შეფასების მეთოდები შესაბამისია იმავე კურსის მიზანთან, სწავლა-სწავლების მეთოდებთან და სწავლის შედეგებთან, შეფასება მრავალკომპონენტიანია, მოიცავს შემაჯამებელ და განმავითარებელ შეფასებას, თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრულია მინიმალური ბარიერები, პროგრამა გამოირჩევა დასკვნით გამოცდაზე დაშვების საკმაოდ მკაცრი წინაპირობით, კერძოდ, საკონტაქტო საათებზე სტუდენტის დასწრების მაღალი 95%-იანი ბარიერით. დანერგილია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური/პრაქტიკული გამოცდები (OSCE/OSPE). შეფასების მიზნით გამოყენებულია ღამის მორიგეობები, სასურველია ღამის მორიგეობაზე სტუდენტის ობიექტურად შესაფასებლად დეტალურად გაიწეროს კრიტერიუმები, რათა უკანასკნელი იყოს ვალიდური და მოცემულობა შესაბამისობაში იყოს სტუდენტის დატვირთვის წესთან. სტუდენტების ინფორმირებულობის, მათი მხრიდან უკუკავშირის მხარდასაჭერად კურსს ჰყავს ტუტორი, უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი. პროგრამაზე აღინიშნებოდა სტუდენტების მაღალი გადინება, დაწესებულების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნულის მიზეზები: სავიზო რეგულაციები, ფინანსური დავალიანება, პროგრამის სირთულე და ინგლისური ენის ფლობა. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში გამარტივდა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა - ინტეგრირებულ სასწავლო კურსებში ცალკეულ საგნებზე დაწესებული ბარიერების მცირედით შემცირებით. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების ერთობლიობა. პროგრამა იყენებს შიდა, გარე საექსპერტო და კოლეგიალურ შეფასებას. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამები შეფასებული იქნა კოლეგიური ურთიერთშეფასების ფორმატში ევროკავშირის ERASMUS+ პროგრამით დაფინანსებული პროექტის - SPRING - SETTING PEER REVIEW INSTRUMENTS AND GOALS FOR HEALTH EDUCATION - ფარგლებში. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა საგამოცდო პროცედურების მოდიფიცირებასა და საკონტაქტო საათების შემცირებასთან დაკავშირებული რჩევები. პროგრამები ასევე შეფასებულ იქნა პარტნიორი სტამბულის ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის გუნდის მიერ, შედეგად განხორციელდა რიგი ცვლილებები. ამასთანავე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა მედიცინის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სამწლიანი ანგარიში. დაწესებულებაში შექმნილია მულტიკულტურული გარემო, დასაქმებულია 5 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის დოკუმენტი • საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი • საგანმანათლებლო პროგრამები

- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

-

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- კლინიკური სესიების მიმდინარეობა 25-30 სტუდენტის ნაცვლად შედარებით მცირე რაოდენობის ჯგუფებში.
- მიზანშეწონილია მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებზე პირველ სასწავლო წელს იდენტური 60 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების პერმანენტული შეფასება ორივე პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებაში და მუდმივი მონიტორინგის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შესაძლო ცვლილებების დაგეგმვა.
- სასურველია ღამის მორიგეობაზე სტუდენტის ობიექტურად შესაფასებლად დეტალურად გაიწეროს კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს ვალიდური და სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო პროცესში შესაბამისობაში იყოს სტუდენტის დატვირთვის წესთან.

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ აკმაყოფილებს ☒ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

უნივერსიტეტში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკ. რექტორის 2020 წლის 28 ოქტომბრის №03/53 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 20 იანვრის №03/17 ბრძანებით), ადამიანური რესურსების მართვა ეფუძნება თანასწორობას, სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და დამსახურებებზე ორიენტირებულ მიდგომებს. მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია:

- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვის ზოგად პრინციპები და წესები;
- ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევისა და დანიშვნის წესი;
- ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სქემები და მექანიზმები;
- ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის მექანიზმები;
- ახალი პერსონალის სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროცედურები.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ბაუში დასაქმებულია - 288 პერსონალი. აქედან, აკადემიური - 35 აკადემიური, მოწვეული - 200, ადმინისტრაციული - 53. აკადემიური პერსონალიდნად - 7 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 9 ასისტენტ-პროფესორი, 11 ასისტენტი. აფილირებულია 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 8 ასისტენტ პროფესორი, 10 ასისტენტი.

უცხოელი პერსონალი - 10 აკადემიური, 13 მოწვეული და 3 კვლევაში ჩართული.

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებას არეგულირებს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი აკადემიური პერსონალის არჩევის წესი. პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით. ინფორმაცია ვრცელდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელსა და დასაქმების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოცხადებული ვაკანსიის მეშვეობით. პროცესი ექვემდებარება კანონმდებლობით განსაზღვრულ წესს და მოიცავს რეგულაციების შესაბამისს პროცედურებს.

აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ადამიანური რესურსისადმი დარგობრივი დოკუმენტის დამატებითი მოთხოვნების ჩათვლით (კლინიკური გამოცდილება იმავე მიმართულებაში, კლინიკური მიმართულებით არჩევის შემთხვევაში კონკრეტული მიმართულების სერთიფიკატი). ბაუში აკადემიურ თანამდებობაზე პირი ასევე შეიძლება არჩეულ იქნას პროფესიული ნიშნით. შემუშავებულია და მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რომელიც განსაზღვრავს აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატუსს, მის ვალდებულებებს უნივერსიტეტის მიმართ, აგრეთვე, უნივერსიტეტის შემხვედრ ვალდებულებებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა.

უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური მექანიზმები, ხდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და თვითშეფასება, ვლინდება გასაუმჯობესებელი მხარეები და საჭიროებები, პერსონალის გადასამზადებლად ტარდება ტრენინგები, ინტერვიურების პროცესში პერსონალმა დაადასტურა ბოლო წლების განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსებით ან/და ორგანიზებით პერსონალის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში. პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს წახალისების და სტიმულირების სხვადასხვა ფორმებს.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი (დამტკ. რექტორის № 58 ბრძანებით (02.03.2014), ახალი რედაქციით აკადემიური საბჭოს №4 დადგენილებით (16.03.2022). აღნიშნული წესი განსაზღვრავს შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობასა და საშტატო და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესს, აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგს, საშტატო დატვირთვის ტიპებს, დოკუმენტი განმარტავს აკადემიური პერსონალის საშტატო დატვირთვის შინაარსს, ასევე აკადემიური პერსონალის კატეგორიებს:

ა) კატეგორია A - შტატი სრული (1,0 შტატი) ან ნაწილობრივი (0,75; 0, 50; 0,25) დატვირთვით.

ბ)კატეგორია B - შტატი არასრული, არასრული დატვირთვით.

გ) კატეგორია C - შტატი არასრული, არასრული დატვირთვით.

დ) კატეგორია D - მკვლევარი-პროფესორი სრული შტატით (საშტატო განაკვეთის 100%) და არასრული საკონტაქტო დატვირთვით.
ე) კატეგორია E - მკვლევარი-პროფესორი სრული შტატით (საშტატო განაკვეთის 100%) და არასრული საკონტაქტო დატვირთვით, რომელიც არჩეულია 2022 წლიდან.
ვ) კატეგორია F - შტატის გარეშე, საათობრივი ანაზღაურებით და არასრული დატვირთვით. ამ შემთხვევაში, აკადემიური პირი ასრულებს 0,25 დატვირთვის ან მეტის შესაბამის საკონტაქტო საათებს.
წესი აკონკრეტებს შესაბამისი კატეგორიის აკადემიური პერსონალის არასაკონტაქტო/არასააუდიტორიო დატვირთვის კომპონენტებს, ასევე ადგენს შეუსრულებელი არასაკონტაქტო და საკონტაქტო დადატვირთვის კომპენსირების წესს.

აღწერილი წესის თანახმად, აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა ერთ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს:
● **პროფესორისათვის** არანაკლებ 200 სთ (საშუალოდ 7 საათი კვირაში);
● **ასოცირებული პროფესორისათვის** არანაკლებ 240 სთ (საშუალოდ 8 საათი კვირაში);
● **ასისტენტ პროფესორისათვის** არანაკლებ 290 სთ (საშუალოდ 9 საათი კვირაში);
● **ასისტენტისთვის** არანაკლებ 350 სთ(საშუალოდ 11 საათი კვირაში).

აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა მოიცავს: ა) სალექციო, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სემინარი, სწავლება სიმულაციურ (სწავლება კლინიკური უნარების ცენტრში მანეკენებსა და სიმულატორებზე, ასევე გვამების ლაბორატორიაში) და კლინიკურ გარემოში (კლინიკურ ბაზებზე ჩატარებული კლინიკური პრაქტიკა) - სემესტრული დატვირთვის ცხრილის შესაბამისად. ბ) შუალედური, დასკვნითი და გადაბარების გამოცდების მასალების (ტესტების, ბილეთის საკითხები, ქეისების და სხვა.) მომზადება და რეგულარული განახლება (ერთ სასწავლო კურსზე 5 სთ); თუ სასწავლო კურსში ჩართულია 2 ზე მეტი პედაგოგი, მაგალითად ბლოკის გამოცდის შემთხვევაში, გამოცდის მასალების მომზადების საათები არ ითვლება სააუდიტორიო დათვირთვაში. გ) შუალედური/ბლოკის, დასკვნითი და გადაბარების გამოცდებზე დასწრება;
დ) PBL ინტეგრირებული ქეისების მომზადება - ერთი ქეისი 5-10 საათი სირთულიდან გამომდინარე. ე) საგამოცდო ნაშრომების შემოწმება-შეფასება (ერთი სტუდენტის წერით ნაშრომზე 10 წთ); დაწესებულება აკონტროლებს აკადემიური პერსონალზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვან შესრულებას. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
სემესტრის დასაწყისში ითხოვს ინფორმაციაა პერსონალის დატვირთვის შესახებ სხვა სასწავლებლებში და ანხორციელებს მიღებული ინფორმაციის გადამოწმებას QMS ბაზის მონაცემების მიხედვით.
კლინიკური კურსების განხორციელება მხარდაჭერილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური პერსონალით, მოწვეული კლინიცისტებითა და კლინიკურ ბაზებზე პრაქტიკის ხელმძღვანელებით, უკანასკნელთა რაოდენობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურების უზრუნველსაყოფად საჭიროებს დაზუსტებას დაწესებულების მხრიდან.
საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, უნივერსიტეტს დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები პერსონალთან მიმართებაში (ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორებით (KPIs) გაიზომება ინსტიტუციური პროგრესი სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შედარებით.

სასწავლო უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის რაოდენობისა და მათი დატვირთვით უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას, რისთვისაც მიმართავს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლის მონიტორინგს. შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითის შემუშავებული აქვს პერსონალის ეთიკის კოდექსი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 ოქტომბრის №17 დადგენილებით), რომელიც ადგენს სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის ქცევის ეთიკურ პრინციპებსა და მათი დარღვევის შედეგებს. ინტერვიურების პროცესში პერსონალმა დაადასტურა კმაყოფილება ბაუ-ში შექმნილი კოლეგიალური ურთიერთთანამზრომლობაზე ორიენტირებული ჯანსაღი გარემოთი. ინტერვიუ სტუდენტური ოფისისა და სასწავლო მენეჯერებთან ინტერვიუმ აჩვენა დღის მანძილზე შესაძლო შუალედების არსებობა, როდესაც სასწავლო პროცესი შესაძლოა ვერ იქნეს მხარდაჭერილი ოფისის სერვისებით სპეციალისტების/მენეჯერების სამუშაო საათების დასრულების გამო. შესაბამისად, სასურველია სამუშაო დღის განმავლობაში შეჭრილი გრაფიკის განსაზღვრა, რათა 18.00. 20.00. შუალედში სასწავლო ჯგუფებს საჭიროების შემთხვევაში ჰქონდეთ სასწავლო პროცესის მენეჯერებისა და სპეციალისტების მხარდაჭერის შე საძლებლობა. დაწესებულებაში შექმნილი მულტიკულტურული გარემო მიუთითებს ინტერნაციონალიზაციის კარგ პრაქტიკაზე, სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სამიზნე ნიშნული პერსონალთან მიმართებით არის, უცხოელი პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი • პერსონალის ეთიკის კოდექსი • პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები • ინტერვიურების შედეგები
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
• რეკომენდირებულია კლინიკურ ბაზებზე პრაქტიკის ხელმძღვანელების რაოდენობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაზუსტება სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურების უზრუნველსაყოფად.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
-

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ბაუს მკაფიოდ აქვს გაწერილი სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები. (სტუდენტთან სტატუსისა და მობილობის შესახებ დებულება, სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი). წესები საჯაროდაა განთავსებული უსდ-ს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ასევე ინტერვიუებით დასტურდება, რომ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია მათ შესახებ. როგორც მათ აღნიშნეს უნივერსიტეტში სემესტრის პირველ სასწავლო კვირას ეწყობა საორიენტაციო შეხვედრები, რომლებიც ატარებენ საინფორმაციო ხასიათს. სტუდენტებს მიეწოდებათ კორპორაციული ელ-ფოსტა, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა ბაუ-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან საკომუნიკაციოდ. საორიენტაციო კვირეულის დროს სტუდენტებს უტარდებათ ტრენინგ კურსი, თუ როგორ გამოიყენონ ელექტრონული სასწავლო პორტალი. ასევე, სტუდენტები ეცნობიან ბაუ-ში მომუშავე პერსონალს, შეფასების სისტემას, ონლაინ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და იღებენ სხვა მნიშვნელოვან ინფრომაციას, რომელიც აუცილებელია, საგანმანათლებლო პროცესში საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტთა ინტეგრირების კუთხით. სტუდენებსა და უსდ-ს შორის ურთიერთობა რეგულირდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები, საფასურის გადახდის წესი და სხვა საჭირო საკითხების სამართლებრივი რეგულირების წესები. ხელშეკრულება იცავს სტუდენტების ინტერესებს და არ არის ცალმხრივად უნივერსიტეტზე მორგებული. როგორც უკვე ავღნიშნეთ უნივერსიტეტში არსებული ნორმატიული დოკუმენტების გაცნობა ხდება სწავლის დაწყებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ბაუ-ში არსებობს მექანიზმი, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ თავისი შეფასება. ამ პროცესის არსებობა დაადასტურეს ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. ზემოთ აღნიშნულ სერვისებთან ერთად უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტი. სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია სტაჟირებების თუ დასაქმების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტი თავის საქმიანობას აგრძლებს კურსდამთავრებულებთანაც. შესაბამისად ისინი იღებენ ინფორმაციას როგორც ვაკანსიების ისე ინფორმაციას უსდ-ში მიმდინარე პროცესების შესახებ და ჩართულები არიან პროგრამების განვითარების პროცესში. სამსახურის გამართულად მუშაობისა და სერვისების გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად ტარდება გამოკითხვები უნივერსიტეტის სერვისებთან დაკავშირებით, სადაც ფასდება მატერიალური ბაზა, გარემო, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. ბაუს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტების კვოტის გაზრდის შემთვევაში, საწყის ეტაპზე, აღნიშნული დეპარტამენტი შეძლებს იგივე სერვისების შეთავაზებას არსებული რაოდენობით, მაგრამ მომავალში ეტაპობრივად მოხდება მათი რაოდენობის გაზრდაც. ბაუს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით უნივერსიტეტში სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 2022-2023 საანგარიშო წელს დაემეტა 17 პერსონალი მათ შორის 1 ტუტორი და 3 სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი, რაც უსდ-ს შეფასებით საკმარისია სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მომსახურებისთვის მაგრამ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მოქმედ რეგულაციაში „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კალკულაცია 2023“ არ არის გაწერილი ადმინისტარციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა სტუდენტებთან მიმართებაში, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს რამდენად მოხდება სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში ყველა სერვისის მიწოდება „სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის“ მიერ.

როგორც უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში დააზუსტა, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობრივი მონაცემებიდან ნაცვლად 1 ტუტორისა ვიზიტის დროს, გახლდათ 3 ტუტორი, ხოლო სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული განვითარების სამსახურსში ნაცვლად 3 პერსონალის გახლდათ - 5.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს ჩაერთონ საერთაშორისო მობილობაში და პროექტებში. ამ მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას შესაბამისი გაცვილითი პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაცვლით პროგრამების შეთავაზების მიზნით ბაუ-მ ევროპის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობეს ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში. სწორედ ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში იმყოფებოდნენ სტუდენტები ჩეხეთის რესპუბლიკაში გაცვლითი პროგრამით 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრში.
უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც არჩევაც ხდება 2 წლის ვადით, არჩევნების გზით. მათი ორგანიზებით წლის განმავლობაში სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი თუ გასართობი აქტიობა იგეგმება უნივერსიტეტში. მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო დღე სადაც უცხოელი და ქართველი სტუდენტები ცდილობენ საკუთარი ქვეყნის კულტურის წარმოჩენას, რაც ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში.
ბაუ ხელს ითვალისწინებს სტუდენტებს სოციალურ მდგომარეობას და სთავაზობს დაფინასნების და შიდა გრანტების მოპოვების შესაძლებლობას. სტუდენტების რომელთა სემესტრული შეფასება არ არის 91 პროცენტზე ნაკლები იღებენ რექტორის 50% იან შიდა გრანტს შემდეგი სემესტრის განმავლობაში. ასევე ყოველწლიურად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებამდე, ცხადდება საგრანტო კონკურსი, რის დროსაც აბიტურიენტს ეძლევა საშუალება მოიპოვოს დამატებითი გრანტი, რომელიც განისაზღვრება სწავლის ღირებულების 50%, 40% ან 30%-ის ოდენობით. ასევე სტუდენტების თხოვნის საფუძველზე შესაძლებელია სწავლის საფასურის გადანაწილება სემესტრის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს შენობა ადაპრიტებულია შშმ პირებზე და სამგზავრო ლიფტით შშმ პირს შეუძლია უნივერსიტეტის ყველა სართულზე გადაადგილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაუს „სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ “დებულება;
- ბაუს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესი;
- ბაუს სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- ბაუს “სტუდენტთური თვითმმართველობის დებულება;
- ბაუსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.bauinternational.edu.ge;
- სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება;
- ბაუს “სწავლის დაფინანსების მოპოვების წესი;
- განხორციელებული სტუდენტური აქტივობები
- ინტერვიუს შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში დაემატოს „სტუდენტთა სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის“ თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრის ინდიკატორები

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

-

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკადემიურ პერსონალთანა და სტუდენტებთა ინტერვიურების შეგად ჩანს, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა სამეცნირო-კვლევითი საქმიანობის თვალსაზრისით, აქცენტი კეთდება ამ მიმართულებით აქტიურ პროფესორთა დასაქმებაზე, მათთვის შესაბამისი პირობების შექმნაზე, სტუდენტთა ჩართულობაზე კვლევით პროექტებში. უსდ-ს სტრატეგიული პრიორიტეტული მიმართულება არის სწავლებისა და კვლევების განვითარება, ხოლო 1.2. მიზანი სამეცნიერო კვლევის განვითარება, ხოლო ამ მიზნის მიღწევის გზები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: საუნივერსიტეტო გამოყენებითი კვლევების განვითარება; ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევის საგრანტო პროექტების უზრუნველყოფა; კომერციალიზებადი კვლევების განხორციელება; კვლევის პოპულარიზაცია; სტუდენტებში ახალგაზრდა მეცნიერთა და უცხოეთში მოღვაწე ქართველ მკვლევართა მოზიდვა; აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარება; პერიოდული სამეცნიერო რეფერირებადი, ინდექსირებადი ჟურნალის გამოცემა.
პროფესორები აღნიშნავდნენ, რომ უსდ-ს მხრიდან აქვთ მნიშვნელოანი მხარდაჭერა კვლევითი მიმართულებით აქტიური საქმიანობის განსახორციელებლად, რაც მათთვის მნიშვნელოვანი მოტივაციაა.
უსდ არის სასწავლო უნივერსიტეტი, არ ახორცილებს სადოქტორო პროგრამებს. თუმცა, მედიცინის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამებზე მზადდება კვლევითი ნაშრომები, რომლებსაც ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პერსონალი. ადგილზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ნაშრომებს, რომლებიც მაღალი ხარისხისაა. უსდ-ში არის ამ ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
მნიავნელოანია, აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კონკურსის პერიოდში, პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის მიმართ ბაუს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესი შერჩევის სავალდებულო კრიტერიუმად ითვალისწინებს სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლის (ჰირშის ინდექსის) ქონას, რომელიც, Google Scholar საძიებო სისტემის მონაცემებით უნდა იყოს არანაკლებ 3-ის პროფესორის, ხოლო არანაკლებ 2-ის - ასოცირებული პროფესორის თანამდებობებისთვის.
უნივერსიტეტი მოწოდებულია, რომ ეფექტიანად განახორციელოს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, რაც წინა ანაგრიშების მიხედვით იკვეთება. გაიზარდა კველვითი აქტივობის დაფინანსება, რომლის ოდენობა 2022-2023 სასწავლო წლისთვის აღემატება საერთო ბიუჯეტის 2%-ს.
არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი პროფესორთა რაოდენობა, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს გაზრილი კონტინგენტის პირობებში სტუდენტებთან შემდგომ ეფექტიან თანამშრომლობას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• ბაუს განაცხადი 2023 • სამეცნიერო კვლევის განვითარების სტრატეგია • აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანგარიშები • აკადემიური პერსონალის არჩევის წესი • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები • უნივერსიტეტის ვებგვერდი
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
• სასურველია მეცნიერი თანამშრომლების მოზიდვა, რომლებიც მხოლოდ კვლევებით იქნებიანდ დაკავებულნი, რაც უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
7.3 საინფორმაციო რესურსი
7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, სადაცა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში შესაძლებელია სასწავლო-კვლევითი პროექტის შეუფერხებლად წარმართვა. სათანადოდაა აღჭურვილი სტომატოლოგიური ლაბორატორია და სიმულაციური კლინიკა. ახალი თანამედროვე სასწავლო შენობის ექსპლუატაციაში შესვლამ უზრუნველყო სასწავლო შესაძლებლობების გაორმაგება მედიცინის მიმართულებითაც, ყველა აუდიტორია შესაბამისადაა მოწყობილი, თეორიული ლექციებისთვის 100 კაციანი აუდიტორიებიცაა გათვალისწინებული, საგამოცდო ცენტრში ერთდოულად 100-ზე მეტი სტუდენტის ტესტირებაა შესაძლებელი. უნივერსიტეტს აქვს კომფორტული 3

საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც მეცადინეობისთვის სრულიად შესაბამისი გარემოა ერთდროულად 80 სტუდენტისთვის. სტუდენტთა რაოდენობის მოსალოდნელ ზრდასთან ერთად უსდ-მ განახორციელა მოთხოვნადი წიგნების და დამატებითად ახალი ბეჭდური გამოცემების შეძენა. კერძოდ, დამატებით შეძენილ იქნა 57 ბეჭდური გამოცემის 600 ეგზემპლიარი. საბიბლიოთეკო რესურსებთან და სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობასთან დაკავშირებული კომპიუტერული რესურსები გაიზარდა 15 ერთეულით. უნივერსიტეტი გადავიდა სასწავლო პროცესის მართვის ინტეგრირებულ სისტემაზე ini.ge, რომელიც განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის დომეინზე lms.Bauinternational.edu.ge; ელექტრონული სისტემით უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ავტომატურად გავლის პროცესი. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად, სისტემა ამოწმებს სტუდენტის მიერ სწავლის საფასურით მისი ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად გადახდის ფაქტს. დავალიანების შესახებ ინფორმაცია აისახება სისტემაში უნივერსიტეტის ფინანსური მენეჯერისა და სტუდენტის პირად გვერდებზე.LMS სისტემის იმპლემენტაციის შემდეგ დაგეგმილია და პროგრამული მომსახურების დეველოპერთან შეთანხმებულია სისტემის მოდულების განვითარება სტუდენტთა ელექტრონული პორტფოლიოს, 3600 შეფასების, სტრატეგიულ ამოცანათა შესრულების ანგარიშგების, სისტემისთვის მობილური (iOS, Android) აპლიკაციის შემუშავების ნაწილში. 2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტით ორჯერ გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო ფონდი, რაც გამოწვეული იყო პერსონალის რაოდენობის ზრდით. აღნიშნულ პერიოდში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო ფონდმა შეადგინა 1 300 000 ლარი, ხოლო 2023-2024 სასწავლო წლისთვის აღნიშნული ფონდი შეადგენს 1,500 000 ლარს. გაიზარდა კველვითი აქტივობის დაფინანსება, რომლის ოდენობა 2022-2023 სასწავლო წლისთვის აღემატება საერთო ბიუჯეტის 2%-ს. დაფინანსების მზარდი ტენდენცია უსდ-ს გაზრდილი კონტინგენტის შემთხვავში შეუფერხებელად უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევით პროცესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია • ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები • LMS სისტემის ფუნქციონალი • ხელშეკრულება პროგრამული მომსახურების პროვაიდერთან • ბიუჯეტი და ბიუჯეტის ანგარიშები, ხარჯების და შემოსავლების დინამიკა • ფინანსური მართვის პოლიტიკა • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები • უნივერსიტეტის ვებგვერდი
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
• **სასურველია უნივერსიტეტმა კონკრეტული კვლევითი პროექტები მეტი ინტენსივობით განახორციელოს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით.**

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ზაზა ცოტნიაშვილი (თავმჯდომარე)
2. ირინე ფხაკაძე (წევრი)
3. ციცინო თურქაძე (წევრი)
4. დავით ტეფნაძე (წევრი)